

ქბილა, 29 ნოემბერი 1915 წ.

რედაქტორის აღრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

ფასი 10 კაპ.

# კომისაზო მათერიალი

იუმორისტი.  
უურნალი

№ 29

„გინც რა უნდა თქვასო, საჭვინებ კი ფქვასო“.



ექ. მინასიანცი. გონივრული თქმულება: „ღმერთი თუ გშეალობს, ხატები ვერას დაგაცლებენ.“

## ბატონებო!

ახლო მომავალში იუმარისტულ ქურნალ „ეჭ-  
მაკის მათრახში“ მოთავსებული იქნება შეტის მე-  
ტრად საყურადღებო, გასაოცარის ნიჭით და მოხდე-  
ნით ჩემ მიერ დაწერილი სტატია: „ქართველთა  
შორის წერა-ეითხვის გამავრცელებელ საზოგა-  
დოების წევრთა ათას ცხრას ზუთმეტი წლის  
ჩევულებრივი წლიური კრება.“

წერილში გარკვეული იქნება შემდეგი საყურა-  
დოები კიახები:

### ნაწილი პირველი.

1. ქართული კლუბი, როგორც კულტურულ  
განმანათლებლი დაწესებულება, თუ ლოტოს სა-  
თამაშო აღილი.

2. კრების გახსნა და მოხსენების წაკითხვა ვა-  
რიამ ბურჯანაძის მიერ. რამდენათ შესაფერი ხმა  
აქვს ბ-ნ ბურჯანაძეს თავის მო ალეობის აღსასრუ-  
ლებლად: ბარიტონი, თუ ტენორი.

3. . ხმის თანასწორობა.\* ) მთავარ  
ფურნ სალარიძეს ყველაზე დიდი ხმა აღმოაჩნდა.  
ხმის თანასწორობა დაირღვა.

4. გიორგი ყაზბეგი, როგორც თავმჯდომარე  
და მოქირნახულე ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისა. რა გვეშველებოდა, თუ გიორგი ყაზბეგის უარეს  
კრების თავმჯდომარეობა. სოციალისტია, თუ არა  
გიორგი ყაზბეგი. გმირთა მნიშვნელობა ისტორიაში.

5. რას ჰქვია პანთეონი. ვინ უნდა დაკრძა-  
ლოს პანთეონში? პეტრე მირანდაშვილი. რა ზომის  
უნდა იყოს ჩვენი პანთეონი, რომ შიგ დაეტიოს  
მთელი ქართველობა. საჭიროა თუ არა ქართველ  
მიუვალებულთა კონცენტრაცია? მოუვლით, თუ ვე-  
რა ამდენ მიცვლებულს გავიცრების დროს? თუ  
გული გულობს, ქადა ორივე ხელით იქმება.

6. ეგზარხი პიტირიძე\*\*) (შეიძლება ეს თავი  
ძლიერ შემოკლებს, ან სრულიად გადაიღოს უფრო  
შორეული ნამრისათვის).

\* ) ქ. უ. წ. კ. გ. საზოგადოების წესდების ძალით ყველა  
წევრის თანასწორი ხმა უნდა ჰქონდეს.

\*\*) ვაი მისი პირიძე!

7. საპატიო წევრი, მულმივი წევრი, ჩევულე-  
ბრივი წევრი, და საწევრო კატევორია. ვექილი  
გიორგი გვაზავა, რომელმაც აღმოაჩნა ქ. უ. წ. კ.  
გ. ს. წესდებაში მუხლი შესახებ საპატიო წევრთა  
მიღებისა. ასენ მამულიაშვილი, როგორც ანტი  
ქლერიკალი და არა კლერიკალი.

8. სად შევიკრიბნეთ? საკითხი ბინის შესახებ.  
ბ-ნი ამაღლობებლი და მისი ლექცია. ლექცია ამა-  
ღლობელისა და კლუბის დარბაზი. ამაღლობელის  
ლექცია, როგორც კონკურენტი წერა-კითხვის სა-  
ზოგადო კრებისა.

9. ხარფუხის კლუბი და ლიმიტრი დუმბაძე.  
სიშორე ხარფუხის კლუბის ერევნის მოედნიდან.  
ჰავა ხარფუხის კლუბში. აღვილ-მდებარეობა სივრცე  
დარბაზისა. როგორ გადაწყდა ხარფუხში წასვლა.

### ნაწილი მეორე.

10. მეხ მოწერდილ ცაზე და ყაზბეგის გადა-  
ლებობა. თავმჯდომარე ბ-ნი კარიჭაშვილი. დეკლა-  
რაციი ახალი თავმჯდომარისა. პირველი იერიში  
გამგეობისა გ. ყაზბეგზე მიტანილი. მეორე იერიში  
საზოგადო კრების დეპუტაციისა. გიორგი ჩიჩუას  
სიტყვა საზოგადოთ იერიშების შესახებ.

11. მანეთი, თუ სამი მანეთი. კურსის დაცემა.  
რას ნიშანებს ქალადის ფული. მანეთიანი გამგეო-  
ბა. ტრადიციის მომხრენი. ექვსი სამ-სამ მანეთიანი  
ქართველი. გრიგოლ ბურცულაძე, როგორც ქარ-  
თველი ერის კლასიფიკატორი.

12. კენჭის ყრა. რისთვის არ შემოიტანეს  
სხდომის დარბაზში საარჩევნო ყუთები. ბ-ნი გიო-  
რები ჩიჩუა, როგორც მტერი საარჩევნო ყუთებისა.  
თავმჯდომარის შორის მეტამეტყველობა აღნიშნულ  
საკითხში და მარცხისაგან თავის დაწევება.

13. რათ გაიმარჯვეს მანეთიანებმა. რა სახელი  
დაერქეს, ბაგშეს, რომელიც არ დაბალებული. გრ.  
ბურცულაძე როგორც საწევრო შემოსალის შემ-  
ცირცების წინასწარმეტყველი. თედორე კიკაძე და  
ყვავების ჩავილი.

14. აქლებების ჩხები და კოზაქის ტრადიცია.  
ქართული მუზეუმი და ორი გამგეობის წევრი გ. ცინკაძე, როგორც მომხსენებელი.

15. ზოლვა ქარუმიძე, როგორც ეტონგრაფი.  
შოთას თქმულება: გრძელი სიტყვა მოკლეო ით  
ქმის, შეირია ამიდ კაბე. ილია ნაკაშიძე და კოზ-  
მან პრატკაძე. პეტრე გელეოშვილი და პროფ. მე-  
ჩიკვარი. „ფლიუსი“ და საეციალისტობა

16. შეთანხმება, თუ დათმობის საბჭო. სპირი-ლონ კედია მწერლობასა და ზეპირსიტყვაობაში. ჩენ და ოქვენ. საკუთრების პრინციპი და სპ. კე-ლონიკა სანდრო შანშიაშვილისა „აჯაფსან-დალის“ შესახებ.

17. სამსონ ფირცხალავა, როგორც ორატორი.

18. ვახტანგ ლამბაშიძე.

### ნაწილი მესამე

თავი 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26 და 27, ჯერ არსად არ დაბეჭდილა, თუმცა ჩენს სიძეე-ლის ნაშთებს შეეხება და ამიტომ იძულებული ვართ აერ-ჯერობით გავჩერდეთ.

### ნაწილი მეოთხე.

28. საჭიროა, თუ არა შემოღებულ იქმნას წე-რა-კითხვის საზოგადოების სკოლებში განსაკუთრე-ბული გავვეთილი მოკლეთ ლაპარაკის შესახებ.


29. საჭიროა, თუ არა გამოიკიდოს წ. კ კრე-ბებზე დიდი წარწერა ინგლისურ თქმულებისა: „დრო ფულია.“

30. საჭირო და სასარგებლოა ხათრიანი თავ-შედომარე თუ არა?

ყოველივე ეს, ზემორე იმისა აღნუსხული გარ-კვეული იქნება ჩემს წერილში ზედმიწევნით. ვეც-ლები წერილი დაგასურათო, თუმცა გამოვტყვები და მოგახსენებთ, რომ ხატვა ჩემს სპეციალობას არ შეადგინს და თუმცა გადაწყვეტილი მექონდა შესტავლა სპეციალურათ, მაგრამ კუზმა პროტკვეის კანცხადების შემდეგ ხელი ავიღე ამ განზრავაზე.

იმდედი მაქვს ქართველი საზოგადოება აღფრთო-ჟანებით შეეგებება ამ ჩემს დიდებულ წერილს.

### ეშმაკი.



## შეშლილი

ხახა-ხახა-ხახა-ხახა!

ალბათ ჩემი კვალი ნახა,  
კვალით თოვლზე დანაჩენით  
და ბოროტი განაჩენით  
მისს სურვილში და წყურვილში  
თურმე სისხლი განეზრახა,  
კვალს შამოჲყვა ალბათ სერით,  
ნაღირს ჰეგვადა ყველაფერით  
ხახა-ხახა!

ბნელში კოფნა მოშეწყინა  
გულმაც იღარ მომიომინა,  
ბავშიც ხელში გამეყინა,  
მივატოვე ბნელი ბინა,  
შელულის ხმა რომ შეწყნარდა  
მე იმდენათ გამეხარდა,  
გაებედე და გამოვედი  
იქ გადაწყდა ჩემი ბედი  
ხახა-ხახა!

მწარე ცნობის მოყვარებით  
ვაყოლებდი თვალსა თუ გულს,  
ჩემს ოჯახს და მთელით სოფელს  
ცუცხლ-მახვილით ამობუგულს.  
ჩემს გარშემო არვინ იყო  
ძუძუ მწოვარ შვილის გარდა  
და არ მახსოვს მაშინ იგიც  
ხელში რატომ გამიგარდა  
ხახა-ხახა!

თურმე ჩემკენ მოქაროდა,  
გეკი გვინ დავინახე,  
გავიქეცი, რა ვიხილე  
საშინელი მისი სახე,  
გვიან იყო, რადგან იმან  
ალბათ უმალ დამინახა,  
ურჯულომ და უნამუსომ  
„გესროლიო“ დამიძახა,  
ხახა-ხახა!

არაფერი იღარ მახსოვს,  
ვიცი შეოლის მომერიდა,  
რადგან ტყვია ჩემს ცრემლებთან  
იმის სისხლსაც დამალვრიდა,

თუმცა ადათ ჩვეულებით,  
ვით ღრუბელში ცისა ბალრი,  
მამაკაცთა თვალებიდან  
მიფარავდა ჩემი ჩალრი  
ხახა-ხახა!

უკუ ვაგდე ყველაფერი  
ნამუსი თუ რჯული რწმენა,  
ხელში შეილი შემაცივდა,  
თვალშე ცრემლი, პირში ენა,  
რა მოესწრო ის ჩემს თვალებს,  
ის რა ნახა, ხახა ხახა,  
როგორ დამტრნა კაცთ ნალირშა  
გამაწმილა გამაბახა,  
ხახა-ხახა.

რაც გაგვაჩნდა ნაცრათ იქცა,  
შვილიც ამ მთას მივაბარე,  
ნამუსი და რჯულის-შესი  
ჩემი ხელით ავიყარე,  
ხოსიერავ! რაც მე მიყვეს  
შენმა თვალმა რომ არ ნახა,  
გიხარიდეს... მიხარია...  
ხახა ხახა ხახა ხახა  
ხახა-ხახა!

შეილო, შენი შემტრალება  
აბა ვის და როგორ ვსოხვე?  
რომ არ მახსოვეს, რა ვუყავი,  
ნუ თუ ვინმეს დაუტოვე?  
აბა თოვლში გადავმალე?  
ნუ თუ ისე შემეშინდა,  
რომ დავკარევ შეილი, თვე  
და ყოველი წმინდათ-წმინდა???

ხახა ხახა-ხახა ხახა-ხახა-ხახა.

სულ ერთია.

## გ ო რ ი

გორის ხიდზე რომ შევდგი ფეხი, ჩამავალი  
შის სხივები, პოეტების სიტყვით რომ ვსოდეთ,  
უკანასკნელი ნაზი ამბორით ეთხოვებოდენ ქალაქეს...

ცოტა არ იყოს, ჩემი მუცლიანი თანამგზავ-  
რის უკანასკნელმა სიტყვებმა ჩამაფიქრა.

— ნუ თუ მარტიაც ისე ხშირია აქ სიგიფე,  
როგორც იმან მითხრა? — ეფექტობდი მე: — 17 კა-  
ცი ჩემ ნაცნობებშიო! ისიც მხოლოდ ორი წლის  
განმავლობაში! თუ ეს მართალია, მაშინ გორე-  
ლების 15—20% მაინც შეშლილები იქნება! არა,  
დიღხანს აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია: ან  
თავად გაიღედება, ან კიდევ რომელიმე შეშლილი  
ქვას გოხლიშვებს თავში და სულს გავაგდებინება!

გადაეწყვიტე, მხოლოდ დამე გამეთა გორში  
და დილის 7/8 საათის მატაოებლით ისევ თბილისს  
გამოვბრუნებულიყვავი.

იძულებული გავხდი, ისევ რომელიმე სასტუმ-  
როში მომენახა ბინა. დუქახე ჩემ ბედზე მომავალ  
ცარიელ ეტილს და ჩავაჯერე.

— სად მიბრძანდები? — მეითხა მეეტლემ.

— წმიდანე რომელიმე სასტუმროში.

მეეტლემ მოატრიალა და შემიყვანა იქვე,  
ეზოში, რომლის წინაც ვიდექი, როცა ეტილს და-  
უძახე.

— სად მრგვევრო?

— მაველიო კიდეცი, ბატონო! — ვამომიცხადა  
მან და გამატჩერა ხის ორ სართულიან სახლის წინ,  
რომელიც სადღარ ეზოს კუნძულში იყო აშენე-  
ბული.

— კაცო, აქ ეტლი რათ მინდოდა? — გავიკ-  
ვირვე მე.

— რა ვიკი, ბატონო: ჩაბრძანდით კა და!

— მეტე, მეტყოდი, შე კაი კაცო, თუ სას-  
ტუმროს წინ ვიდექი და ამ ორ ნაბიჯს უქით  
გამოვიარდი.

— ეს, ბატონო, ეხლა რაღა დროსია! მიბო-  
ეთ ფული, მეჩეარება!

— რამდენი გერგება?

— ერთი „კნეცის“ ბატონო, ორი აბაზი!

— როგორ? თითო ნაბიჯი თითო აბაზი? გივი  
ხომ არა ხარ?

— გიუ რათ ვიქნები? მე გიუ არ გახლავარ  
და თქვენი კი არ ვიცი.

სისხლი ყელში მომადგა; ის იყო უნდა ვცე-  
მოდი, რომ ჩემი თანამებარის სიტყვები მომაგონ-  
და და უცებ შევდექი:

— ვინ იცის, იქნებ მართლაც გიური იყოს,  
ან კიდევ, ღმერთმა კი დამიფარის და, ჩემს იმო-  
ქმედა კადევ ძალაში და ქვეა ამირია — გავი-  
ფიქრო მე, საჩაროთ მივეცა ორი აბაზი და სას-  
ტუმროს მივადექი.

თავისუოალი ოთახი არ აღმოჩნდა და წავედი  
სხვა სასტუმროს საძებნელიათ.

ბევრი ხეტიალის შემდეგ, როგორც იყო ვი-  
ზოვე ოთახი.

ადამიანის ხუთ გარეგან გრძნობათა მიხედვით,  
ჩემი ოთახი ეგრე არწერება:

**შნოსვა:** შევედი თუ არა შიგ, ფრიად მძაფრი,  
შაგრამ ერთხაშით გაუტკვეველი სურნელება, ანუ  
უკეთ რომ ესთქათ, მრავალ სურნელებითა „კეთილ  
შეზავება“ ვიგრძენი. ხოლო, როცა ჩემს საწნოსავი  
აპარატი სანალიზოთ მოვამრთო და ზემოსხენებუ-  
ლი რთული „ნარევის“ ბარტივ ელემენტებთ და-  
ყოფას შევუდექი, აღმოვაჩინე, რომ ის შესძებო-  
და: სარეცხი საპის, გაცყოლეტილი ბალლინჯოის,  
თაგვისა და დამპლი მსხლის სურნელებათაგან“.

**შედეველობა:** ვინაიდან ჩემს ოთახში გორის  
ტეხნიკის უკანასკნელი გამოგონება, ნიადაგ მხრიო-  
ლავი სანათი, ენთო და შეუშა გიშრის ფერათ იყო  
შელებილი მცვარტლისაგან, მხოლოდ ობობას ქსე-  
ლის თარის ვეხდავდი იმ კუთხში, საცა სანათი  
იდგა; ამის გამო მოვიშველი შემდეგი გრძნობა —  
**შებება:** წყვდასადით მოცულ ერთ ჭუთხში დავე-  
ჯახე რაღაც ნივთს, რომელიც — შემდგომათ რამ-  
დენიმე გოჯი მტვერის გადაშორებისა — საწოლი  
აღმოჩნდა. სხვა ავეჯი ჩემს ოთახში ვერა აღმოვა-  
ჩინება. ვფიქრობ, სასტუმროს პარტნიორი ჰიგიენის  
მიმდევარი უნდა იყოს და ეშინია ავეჯეულობამ  
ჟაფრი არ შეატკიროს ოთახში.

**სმენა:** ამ გრძნობის საშვალებით მე დავრწ-  
მუნდი, რომ მარჯვნით ჩემს მეზობლით იდგა წარ-  
ჩინებული გორელი მემუსიკე, ვინაიდან ამ მხრიდან  
„გარმონიკის“ წარმტაცი ჰანგები მოისმოდა „აკოშ-  
კში მტრედია—ს ხმაზე; მარცხით კი ეპვი არაა,  
გორელ ზოოლოგთა სამეცნიერო კრება იყო, რად-  
გან ფიცხელი კამათი მოისმოდა და, როგორც ყუ-  
რი მოვკარი, სადაო საგანი იშხნი ანუ გელაქნური  
იყო.

დაგვრჩა მეხუთე გრძნობა, გემოვნება, რო-  
მელსაც იძულებული ვარ, გვერდი აუარო...

ჩემი სამგზავრო ჩანთა ზემოხსენებულ ობობას  
ქსელის თაროზე ჩამოვდე და ქუჩაში გავედი.

უბირჯელეს ყოვლისა აფილობრივა სინგმატო-  
გრაფუ ვინახულე: ცოდვა გატეხილი სჯობია და  
უნდა გაძოვებული ვარ. რომ მე სინგმატოგრაფის დიდი  
მოტრუალე ვარ. შეიძლება უცხო ქვეყნებში თეა-  
ტრი მართლაც სინგმატოგრაფზე მაღლა იდგეს, მა-  
გრამ ჩევნში, საქართველოში, სინგმატოგრაფი იმ  
ზომამდე განვითარდა, რომ ბევრათ გაუსწრო აქაურ  
იავტრს...

ჩინებულ სურათს მიუესტარი. მე ძალიან მო-  
ხარული ვარ იმ გარემოების, რომ გორელი სამო-  
სწავლო მთავრობა, როგორც ეტყობა, დიდის ყუ-  
რადღებითა და საქმის ცოდნით ეპურობა მოწაფეთა  
აღზრდას. დარბაზი მოწაფე ქალ-ვაუით იყო საესე  
და სურათიც სწორებ მოწაფეების ცხოვრებას შეე-  
ხებოდა. ფრიად მარტივის, მაგრამ ზედმეტვნით  
ღრმა აზროვნი შინაარსის სურათს აჩვენებდენ:  
გიმნაზიელ ვაჟას და მის რეპეტიტორს, ნორჩ სტუ-  
დენტს, ორთავეს, უყვართ ერთი გიმნაზიელი ქა-  
ლი, რომელსც შოდისამებრ ჩიხეული კაბა აცირა  
და ყოველსაც მიმხრაზე წვივები უჩანს ხოლმე;  
მა კაბაზე გიმნაზიელ ქალს ხან სტუდენტი  
ზუნიშანებს პატარას, ხან გიმნაზიელი ვაჟა; პატარა კი,  
რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში კოცნა-ხვევ-  
ნითა და უნაზეს ალერგით სრულდება ხოლმე. ბო-  
ლოს სტუდენტი აჯობებს გიმნაზიელს და ქალიც  
პირველს დარჩება. მორალი, ჩემის აზრით ასეთია:  
1) გიმნაზიელ ვაჟისათვის: თუ შენი სატრიუ-  
მონი ქალი შენს რეპეტიტორს შეუუყვარდეს,  
წამნავე დაუთმე მას, შენ კა სხვა გიმნაზიელი ქა-  
ლი ეძიე. 2) გიმნაზიელ ქალისათვის: სტუდენტ-  
საც და გიმნაზიელ ვაჟასაც თანაარსიათ ემბორე  
ხოლმე, მაგრამ საქმე რომ არჩევანშე მიდგეს —  
სტუდენტს მიეცი უპირატესობა. დარწმუნებული  
ვარ, სიტყვიერების მასწავლებლები არა ერთსა და  
ორ თხზულებას დააწერინებენ თავიანთ მოწაფე-  
ებს ამ სურათის შინაარსიდან აღებულ თემებზე...

სინგმატოგრაფიდან გორის კლუბში წავედი.  
კლუბში თითქმის არავინ დამიხვდა.

— რა მიზეზია, რომ დღეს ასე ცოტა ხალ-  
ხი მოსულა, - ვერთხ კლუბის შეეცარს.

— ეგ იმიტომ, ბატონო, რომ დღეს ამი-ლახვრიანთა წვეულება არის და ხალხიც იქ წა-ვიდა.


ამისდა გვარათ კლუბის ცხოვრების გასაცნო-ბათ, სამართლით, ამილახვრის წვეულებზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ მე მაინც კლუბში დარჩენა ვარჩივ და კიბეზე ავედი. შევაღე პირველი კარი და საბილიარდე თახაში ამოვყავი თავი. კლუბის ყველა სტუმრები იქ შეკრებილიყვნენ (სულ 10 — 12 კაცი იქნებოდა), ბილიარდის გარშემო ისხდენ და თამაშს უყურებდენ. ამ თორმეტიოდე გორელის მიხედვით თუ დავახასიათებთ გორე-ლებს საზოგადოთ (ჩვენ კი სხვა საშვალება თ. ამილახვარმა მოგვისპონ თავის უდროთ წვეულე-ბით), აქაურ მცხოვრებთა 80% -ს მელოტები შე-ადგენენ, ხოლო 100% -ს დამტვრეულ რუსულათ მოლაპარაკენი (სხვა ენას აქ არ ლაპარაკობენ). კლუბში დიდ ხანს ვერ გავძელი, რადგან ისეთი საშინელი მოწყენა იყო, რომ ჩემ თვალწინ შეიდ-მა ბუჩქა მოიკლა თავი...

წამოვედი ისევ ჩემს თახში, მაგრამ ეხლა ველარც შეხების გრძნობამ მიშველა და საწოლს ვერას გზით ვერ მივაგენი. რალა დამტჩენოდა? და-ვავლევ ჩემს ჩანთას ხელი და კვლავ ქუჩაში გამო-ვედი. მთელ ღამეს ციხეტიალე დაყრუებულ ქუ-ჩემში. რაც მე ხერიალში განვიტადე და რაც მე გორეზე და გორელებზე ვიფიქრე — სამშობლათ არ გამოღვება — დევ, ისევ ჩემთან დარჩეს...

გორის ხიდზე რომ შევდგი ფეხი, პოეტების თქმის არ იყოს, ამომავალი მზის სხივები ნაზი ამ-ბორით სალამს უძღვნიდენ ქალაქს, ხოლო იქ კი, ამაღახვრის წვეულებაზე, ერთი წვეულთაგანი, სავ-სე ყანწით ხელში, შემდეგ სიტყვას ამბობდა:

— ბატონებო! რჩუომელიცა რომა... ჩენ, რჩასაკვირველია, გორის თავადაზნაურობა ვართ, ამისათვის, რჩასაკვირველია... ამომავალი მზე... გა-უბარჯოს საქართველოს!.. აბა, ბიჭებო, საარი!..

თაგუნა.



## მესტვირული.

(თზურგეთიძენ)

II

აბა, საცირი, დაპირება ავასრულოთ საწადმართოთ; ქარახსი გვაქ გაწმენდილი, გუდაც ავხსნათ და მოვართოთ. ყელი კარგად გავიწმინდოთ, სასიღლეროთ მოვიწვართოთ, და დაუკრათ ჩვენ მწარ-ტკბილათ, კვნესა ტრუაბას ჩავახლართოთ...

— მაგრამ... მღერა სახალისო იმ თავიდან არ მჩვევია; დარდები და კეეშნები სულს სიღრმემდე დასჩნევია... და დღესაც-კი სედვა მიპყრობს, კაერანი მე მწვევია; მწარე ბოლმა და ნაღველი გულის სიღრმეს ჩამნთხვია...

— ჭოლა მოკვდა, ჩენი ჭოლა! ჩენი კარგი მეგობარი... ყურმან ვეღარ გაიგონოს აწ იმისი ხმა ნარნარი...

ველოვაბ ძვირფას აშანაგსა,  
არ მაშერა ცურილია ლარი;  
მას დაცესტირი, მას დაკენესი,  
„მისოვის ვხელობ, მისოვის მცდარი“...

მახსოვე...მახსოვე მისი კენესა,  
მისი გმინვა უცხო მხარეს...  
იქ მზის სხივი მოანატრეს  
სასო მიხდილს. გულშეხარეს...

მაშერალთაკენ ისწრაფოდა  
მისი სული, მისი გული;  
ტანჯულ მშრომელთ დაკენესოდა  
თვით ტანჯული და ბეჭყრული...  
მშრომელ ქვეყნის მთებს ეტრფოდა  
ლეთიურ ცეცხლით აღზნებული,  
მაგრამ. ცივ-ბნელ უცხოეთში  
ჩაკვდა გრძობა მოწამლული...

და... დღეს უკვე აღარ არის...  
ის ცივს საფლავს უერთდება!  
და მე მტანჯაეს მოგონება...  
მწვევლი ცეცხლი გულს მეგზნება.  
სული კენესის, სული გმინას;  
გული იწვის, გული დნება...  
ეხ, ვინ იცის, —ვინ სად იბრძეს!  
ეხ, ვინ იცის, —ვინ სად კვდება..

და... მაგრამ... ჰე, აღარ ვტირი,  
აღარ მოესთქამ, აღარ ვგოდებ;  
ცრემლი ქოლას ნეტარ სახელს  
არ შეშევნის .. არც მე ვსულდება..  
არა, იყი ცოცხალია,  
მე იმას შევდარს ვერ ვუწოდება..  
„შრომა...შრომა მის სახსოვარათ“  
ჩაგრულ ასე მოუწოდებ...

მაშ, განვაგრძობ ისევ ღილინს,  
არას მარგებს ცრემლთა ფრქვევა,  
ბევრი კენესა და ვაებით  
მესაფლავე დამერქმევა..  
მაგრამ ეხლა დავიღალე  
და დამიწყო „ლექსმან ლევა“,

აღარ ძალიძის დღეს-დღეობით  
„პართუალ ცემა, მარჯდეთ შეცვა“.

და დრო არის დავისევნო,  
მოვიკრიბო ძალი, ლონე;  
იმ კვირისითვის ავლილინდე,  
თუ დამირჩა მე გამგონე ..  
მაშ, ნახვამდის! ჩემს გრძელ ქარახს  
თავი უკვე მოუქონე  
და გუდაუ-კა გასამობათ  
ოჯანჯალის მიგაკონე!!..

### 8. ცხვირობე.

#### პატარა მესტგირული.

გუდა-სტვირი ავიკიდე,  
სოფელ-სოფელ ვარები,  
მინდა გითხრა ყველიუერი;  
სოფლის ჭირი—იარები.  
ვაჭრებისა მტაცებლობას  
აღარა აქვს სწორეთ ზღვარი;  
საწყილ ხალხსა ტყავს ძრობენ,  
ამოვარდა მათი გვარი!

მმა-სისხლათ გაგვიხდეს  
საქონელი ძეელ-დამპალი,  
აირია მონასტერი,  
აღარ არის სამართალი!

სოფლის მწერლებს თუ იყითხავთ,  
ქრთამებს მიპყვეს შეტად ხელი,  
სალდათების გროშებითა  
გაისეველეს იმათ უელი.

გუნგბაზე კარგათ არის  
წევრ-ცამეტა ჩვენი მღვდელი,  
საწირავით და დრამებით  
მას გაუძა ჯიბე სქელი.

დარ დაუდგათ ბობოლებსა,  
შეაწუხეს მთლათ სოფელი,  
ალვირ ასნილ თარეშობენ,  
არვინა სიტყვის მთქმელი.

ეშაკო, შენ გეაჯები!  
მოევლინე სოფელს მხსნელად,  
და მათრახი მოგვაშველე  
ამ უმსგავსოთ გასაწყვრინელად.

### ბუჯგული.



## ავტორიტეტი

ვისჩედაც ამას ვწერ,  
უბრალო კაცია...  
უბრალო საჭმელს კამს,  
უბრალო აცვია.  
უბრალო ქუდი აქვს  
უა ფეხსატმელები,  
უბრალო ოვალ-წარბი,  
უბრალო ხელები,  
მაგრამ მსჯელობის დროს  
ასე გეგონება:  
რომ ყოფნა მსოფლიოს  
მისიაო ნება.  
ის ყოველ კითხვაში  
ავტორიტეტია...  
მომაყვდავთ არ ვიტყვი,  
თვით ღმერთზე მეტია!  
ქვესკნელში ოვალი აქვს,  
ზესკნელად ყურები...  
მითი აქვს სახელი  
დანამსახურები.  
ის „ყველგან, ყოველთვის  
უავტორიტეტია“  
(ქართული სიტყვებით  
ნამდვილი ტეტია!)


კოლო.



ტ ტ ტ

შამლაყინზა. საქმე რომ ქორთან გვაქვს ცხადია, მაგრამ მე მაკვირვებს ეს რანაირი ისა სკოდნია.

## ხმა მოსკოვიდან



მოსკოვის ქუჩებიდან 5—6 საათზედ მაღაზიებთან.

### აჭარული სცენა

ძავ და ი რა უნელი ამბავია ვერ მივხთი! კითხვის სტაფილა კაა, მარა ვინაა იმისანაა დოლრი კაცი, რომე საქე გაგიყეთოს, უველია რაცას ილლიტება და იქუცება. მევიდა ერთი უჩიტელი, „ბურილმ ეფენდი“ მეთქი, შივეხვეწ შივენაბდე, აბა შენ იცი თუ რამე სიკეთეს გვიზამ მეთქი, გამოვართვი ხოჯას ბალნები და უველია უჩიტელს შეუყარე. შეუდგა ეფენდი საქმეს; მევიდა ბაღანაი შინ შეშინებული და გაწითლებული, რა დაგმართა ბაბავ, მოშივებული იქნები და საჭმელი კამე მეთქი.

— იქნენი წასვლა მეშინია, ბაბა, იმისანა რაცას გვიჩივა ი კაცი, რომე ვეფერი მუუხდი.

— რუა ვეფერი მუუხდი მეთქი.

— მისი სიტყვა ვერ გვიგვ.

— ეიდა ძავ, ი რუა იქნება, ბაღანას თუ იმფერი ლაპარაკი დუუწყე, რასაც ვერ მითხება, ამით საქმე არ გაკეთდება, ამას ეფენდი კი არა უშწავლელი კაცი არ იზამს.

**ბუჯგუთი.**

### პატარ-პატარა ამშები,

გაზ. „საქართველოში“ ამოვიკითხე:

ავადმყოფი მგოსანი ირ. ევლოშვილი 18 გიორგიმისთვეს, საღამოის მატარებელით ფოთიაკენ გაემგზავრა, საიდგანაც სოხუმში წავა, ზამთრის გასატარებლად. იგი დასუსტებულია, რის გამოც მას თან ახლავს აპ. წულაძე. რომელიც სოხუმში მიატოვებს და დაპირისებს. თუ ფოთ-დან ზღვით მოუხერხებელი გახდა სოხუმს წასვლა, მაშინ გზა-ტკეცილით გაემგზავრებიან აზურგეთის გზით.

თუ ეს მართალია, „მეიძლება ავათმყოფ მგოსან გზად ბევრი უსიამოვნება შეემთხვას. ბ-ნ აპ. წულაძე, როგორც „აიჩერონება“ ერთობ გზა აბნეულია და შეიძლება ავადმყოფი კაცი მართლაც გაუყენოს „ოზურგეთის გზატკეცილით“ სადმე აქარისაკენ.

ნუ თუ გზის მაჩვენებლები მოისპერ!

მოლვაწეობის დაფასება ჩვენ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიცით. მხოლოდ ქალაქ ოზურგეთს

კუთვნის პარეკელობა ამ ტრადიციის გადაგდებაში.  
იმავე გაზეთ „საქართველოში“ კუთხულობა:

ოშურგეთის ქალაქის გამგეაბას აზრად აქვს, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას გრერალ დუმბაძის სახელი და არ გვას, რამლის ინიციატივითაც ოჭურევ-თში ქალაქის აფთიაქე გაისწინა.

ვის რა უნდა ჰქონდეს ამის წინააღმდეგი, თუ კი ბ. თ. ცხომელიძემ სამართლიანობის აღსაფლენათ არ მოითხოვა, რომ სამ მეოთხედს აღნიშნულ ქუჩისას მისი სახელი დაერქვას, ხოლო დანარჩენი ერთი მეოთხედი დაეთმოს პატივურელ გენერალს.

ეს ერთი ხანია ზოგიერთი მწერლები ასეთ წერილებსა სწერენ „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას.

„ბანო რედაქტორი არც პირველია და არც უკანასკნელი ჩემი ნაწარმოების თქვენ წინაშე წარმოვლინება ბედი არა გვწყვლობს როგორც გზედათ, თუ ეს უკანასკნელი ნაწარმოები კარგი გამოიდგეს გთხოვთ მოათავსოთ თქვენს პატივურელს უზრნალში, ხოლო თუ უვარებისად სცნოთ დაგვაცლეთ და გადაუკით თვარზისა და ცხარების“ რედაქტორს. იმდინ მაჭე ჩემს თოვანას უურადებათ არ დასტოებთ და ნაშრომს არ დამიკარგავთ.

ბატონებო! მე დიდის სიამოვნებით შევასრულებ ყოველს ამგადი დავალებას და არა თუ შევასრულებ, მე უმორჩილესად ესთხოვ „თვარზისა და ცხოვრების“ პატივურელ რედაქციას, რომ რასაც ის უვარგისად სცნობს მიღმისული გასალებიდან, გადასცეს „ზეირთის“ რედაქციას. ეს უკანასკნელი უთულდ მოათავსებს თვის „სოციალისტურ“ ფურცლებზე და თქვენ ცურალნელ ყოფილი იქნებით, რომ შრომა არ დაგვარგებათ.

### მორიელი



## ბარეუშის ბაქიობა

ს. ბუქნარისათვის

ეჭ, კაცს რო შეშურდება  
სხვისი ბელიერება,  
სიბრაზის და ჯავრისგან  
გულზე სისხლი მერება.

ზევი მიწა მიყვარს მე,  
მეც იმისი შეიღლი ვარ;  
აბა ნახეთ თუ ვინმეს  
მკაში დაუძლევივარ?

ვის რა უნდა, თუ მე გზის  
ვასუსტებ, ვავწროებ,  
ცუდ ამინდით ვსარგებლობ,  
ან სიბნელით ვიდროებ?

განა მარტო ვსარგებლობ  
ხალხის ნაბედშევებით?  
განა მარტო მე ვმოსავ  
ჩემს ორგულებს შავებით?

დიახ ვლალიბ, სხვა სტირის  
მე კი არ მეტირება,  
გხარიბ, მათი ტანჯვითა  
დარღი შემეტირება:

ვენაცვალე ჩემს რიგას  
ტკბილი ენის კლიტეში,  
იძღენ შრომას ჩემზედ სხვა  
ვინ დახარჯავს თვის დღეში.

ბევრმა გვტანჯა ძველ დროში,  
ცხლას ვუგვე ნამთავნით,  
თითო თითოთ ჩენენ მტრებსა  
ციმბირისკენ ვაგზავნით.

რა ძალა გააჩნიათ  
ჯიბე ცარიელებსა?!

დაგვაცალონ, ბევრ მათგანს  
შეუკატავთ ხელებსა.

იქ გავგზავნით, სად მრავლათ  
გავაგზავნეთ წყვილები,  
იქ საგლევათ დაგვრჩება  
მათი ცოლი, შვილები.

ეშვაკოჯა! თუ ნახოთ  
ჩენენ შესახებ წერილი,  
გთხოვთ არ დარჩეს უზრნალში  
ჩანაწერ-ჩაბეჭდილი.

თუ ამ თხოვნას მიიღებთ,  
ჩვენ არ გაგრჯით ტყვილათა  
და ფერებით ჯოჯოხეთს  
ვეაძლებით წყვილათა.

კოსანდილე.

## ც რ თ ი

(ქრისტიან უწრევაში სიძევის წინააღმდეგ)

**თავმჯდომარე ბ-ნი ტყემალაძე.** „ბ-ბო, ის 25 ათასი მანეთი, რომელიც მთავრობას ვთხოვეთ („პოსმიერი“) ამ საქმის მოსახმარით, რომ ღვერთმა და მთავრობამ ინგბოს თხოვნის შეწყნარება და 25 ათასი მან. მივიღოთ, რა ვუყოთ იმ უჟღებს. ადგილობრივი კოოპერატივი ვერ შესძლებს ამ საქმის მოწესრიგებას და უნდა შევადგინოთ ახალი ორგანიზაცია, რომელსაც ვენდობით“.

**ბ-ნ ესაკიას აკეირებს ტყვემალაძის აზრი და ამტკიცებს,** რომ ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმის მოწესრიგებას ახერხებს ყოველად და ყოველთვის არის კოოპერატივი, როსთვისაც ყოველი ქალაქი და დაბა სოფლება ასევ კრიზისის დროს კოოპერატივის გარშემო იყრინ თავს და ამაგრებებს მრავალგვარი დახმარებით კოოპერატიულ წარმოებას, რაც უფ. ტყემალაძესაც მოეხსენებათ.

**ბ-ნი იაგულოვი** ვერ სცნობს კოოპერატივებს საზოგადოების სასარგებლო დაწესებულებათ, რის მიზეზითც ამოირიცხა. თავი თავის თანამოაზრებთან ერთად დასახლებულ ამხანაგობიდან, პირიქითო განაცხადა, ზარალის მეტი სარგებლი არა გამოდის რა იქიდანაო, რის დასამტკიცებლით მოიყვანა 240 „საბუთი“\*).

**ბ-ნი ღლონტი** (წერილ კრედიტის ინსპექტორი) თავისი ტებილი და ზრდილი აზრიანი და ცხარე სიტყვებით სწვავს და ხარშავს იაგულოვის 240 „საბუთებს“ და გარჩეულს უბრუნებს ვეტორს, რომლის ერთბაშოთ მირთმევა მიწის მთხრელ უსადილო სეანსაც გაუჭირდებოდა მაგრამ ბ-ნი იაგუ-

\*) საბუთი იაგულოვის დექსიგანით ნიშნავს ქართობილს, რომელიც (2 ფუთი) ჭრის დუქნის გვერდით გერმან განვითარდნ 40 გაც. ნაკლებ უყინნა და საჭალოთ 2 ფუთს 240 თავი ჭრის. სეწინააღმდეგდ „საბუთი“-ს ქართობილი გამოდიას.

ღლოვიც „მადიანი“ გამოდგა. ბ-ნმა ღლონტი არც ერთი არ დაივიწყა კოოპერატივების სასარგებლოთ საზოგადოთ და კერძოთ ფოთისოვის, თუ კი რამის თქმა შეიძლებოდა, იღუთქა ყრილობას აგრეთვე წერილი კრედიტისაგან ნდობის მოპოება და მიუთითოს სხვა და სხვა საშვალებებზედ, როთაც კოოპერატივი უივი გაღლონერდება და სპეცულიანტების სელიდან გამოიხსნის საზოგადოებას. კოოპერატივის მოწინააღმდეგები უხერხულობაში ჩადგენ და ჯერ კიდევ ზაუბადებელი ბავშის (25 ათას მანეთ) აბრა-მის დარქევება სხვა ძროისათვის გადადვეს. ვნახოთ მომავალ ნათლობას (თუ ღმერადა ბავში მოგვცა) როგორი მაინძლობით შეხვებან.

ბუტუნა.

## ა მ ბ ა ვ ი ე კ ლ ე ს ი ა შ ი

თურმე ჩვენს მოძღვრებს ეკლესიაში ვენე ეშმაკი შეუძრაოთ შიდა. (და თავისთავად იგულისხმება სახიერ მამებს კარგს არ უქმიდა).

იქ გამონაზა ძევლი დავთრები, ორმოც წლიინს გვარებს ითვლილა, (ამა შრომისთვის აღმათ ეშმაკა თუ ვინმე ჩუმათ ქანქარს აწედიდა).

ისეთი დარგის მონაზა ვინმე სალდათის მამა მან ლოჩინშვილი; ეშმაკა ჯადოს ფრთები წაუსვა და წერთაღრიცხვა იქმნა წაშლილი.

ნაკვლიათ სამოცი წელი გამოჩნდა, ეშმაკი მანე კი გაიპარა და ამ გზით, თურმე, ეშმაკის ფრთებმა ის ჯარის კაცი კი დაიფარა.

მაგრამ კაცი ხომ ბიროტი არის და საქმეს ფარულს კუდი უჩინა, ასე მოხუცი აღმოჩნდა მართლათ მამა იგნოს სამრევლოს შინა.

მაგრამ ივანემ რაღან ფიცი სთქვა, მამა კირილეც აღარ დაინდეს, და თვით სამსონი ექსპერტის სკამზე კალამით ხელში წამასკუპეს

გამიძიება დღესაც წარმოებს... საერთოდ სტკუცეს რუსული ვარი (ეშმაკი იგი ამის მომქმედი ეგებ სტაროსტა ბიჭია არი?)



ლენის ის განიცდიდა? ქორიკანა ხალხს რომ დაუჯეროთ, ბესოს წარსული მეტათ პროზაკულია. ის სახელოსნო სასწავლებელში იზრდებოდა, სადაც ხარაზობა შეისწავლა, მარა რადგანაც კარგი ხარაზი ვერ გამოვიდა, კერძო ვექილობა დაიწყო. მტკინარი სიცურულა ეს ყველაფერი; ბესო დაბალების დღესაც ის ბესო იყო, რაც დღეს არის: თბი ხუჭუჭა ძერის სათვალებიანი კერძო ვექილი. მას აქეთ მას არც სიგრძე მომატებია და არც სიგანე, ის აღზრდის გარეშე დგას.

ნათლობის დღეს თურმე ბესო ნათლიამ დალოცა: ღოვლათიანი იყავიო. აგიხდეთ ყოველი სიკეთი, ეს ლოცა. მას აუხდა. ჭამა რა არის, ჭამა, მაგრამ აქაც კი თავს იჩნეს მისი დამახასიათებელი ხელბარაჟიანობა და ღოვლათიანობა. უშველებელ ხარის ბეჭებს, რომლის გაღაბიჯება კაი ვაჟკაცს გაუკირდება, ბესო ათ წაში იმორჩილებს და გზავნის მოუკუპრავში ახალი ენერგიის შესძენათ. ამ მხრით ბესოს პირველი ადგილი უჭირავს სამტრედიის მუახელ-მოღვაწეთა შორის.

გადავიდეთ უმთავრეს საკითხეს — ბესოს მოღვაწეობაზე. მეტად მრავალ-მხრივია იგი. ბესო წევრია წერაკითხების საზოგადოების, კლუბის, ვაჭრების ბანკის და გლეხთა კომპერატურის. მეტი დაწესებულება სამტრედიის არ მოვპობა, თვარა ბესოს ვინ მოასწრებს იქ შესვლას. მარა წევრიც არის და წევრიც წარმოიდგინე. რომესიც მეტათ გულ-მოღვინე წევრია აქც ღოვლათიანი და ბარეკინია, საზოგადო კრებას არ დაკლედება, ის კი არა, დანიშნულ დროზე ერთი საათთო ადრე მიდის; წესდება მუდამ ხელში უჭირავს და მის მუხლებს სენატისგანმარტინ მარტავს. თითო კრებაზე ოთხეულ მაინც უნდა ილაპარაკებს და ყოველ სიტყვას ძველი რომალივით ერთი დასკვნით ათვებს: კართავენი უნდა დაინგრეს, ესე იფი, ეს საზოგადოება უნდა დაიხუროს.

ვსთქვათ, წერაკითხების საზოგადოიბის კრებაა, სადაც ირკვევა, რომ საქმე ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული, წევრები გულცივობას იჩენენ, გამგეობა უუნარობას, ფული ცოტა შემოდის და სხვ. ორატორები აქედან რაღაც ახირებულ დასკვნას აკეთებენ: რაკი საქმე ვერ მიღის, საჭიროა, აუცილებლათ საჭიროა, მოქმედო საზოგადოება, გავაუქმოთ აგი, ვიღრე გვიანი არ არის; ჩენ ვეცადოთ ამას და გამმარჯვე ღმერთიათ. და რომ ეს საჭიროა, ბესო იმოწმებს ტაგან ცეკვას, შერშენევის

და მის უებარ სენატის განმარტებებს. თქვენ ნახეთ ბესოს თავვანწირულება: ერთი კაცი არ ემხრობა მას და ის მაინც ცდილობს, მარტოთ მარტო ცდილობს გააუქმოს საზოგადოება.

ერთ შემთხვევაში კინალამ მიაღწია თავის მიზანს, კრებამ მიღილ მისი წინადაღება კლუბის დახურვის შესახებ. კლუბის მოქავი ქონების შენახვა კი თთონ იყისრა (ცოტა გაუგებარი კი იყო, ვიღის უნახვდა ამ ქონებას). განწდა საიდგანლაც ისიდორე სტურულა და გაუქმებული კლუბი ისევ იღილდინა, არ დაუკერა ბესოს და ეს ცოტაც მკვდარი დაწესებულება დღესაც სკოცხლობს.


კომპერატურის კრებაზე ორი საათი ამტკიცა შემდეგი თავისი წინადაღება: რაკი გამგეობის 9 წევრიდან ერთი კრებებს ვერ ესწრებოდა, მთელი გამგება დავაპანლუროთ. კაი მოქმედს კი გამგონე უნდაო — ბესოს სრულიათ არავინ უგონებს და ამაშია მისი ტრალედია. მარა მუდამ მხნე ბესო არა-სოდეს არა ყრის ფარ-ხმილს. სულმოკლეობა სრულიად არ სწერება მას.

ამასწინათ ვაჭართა ბანკის კრება იყო. ოჩერდა კითხვა მოსამსახურეთა ერთდროული დახმარების შესახებ. ბესომ კრების გადადება მოსახოვა ექვის თვით. რა თქმა უნდა, ეს წინადაღება რადა კოლურიათ სტურიდა საკითხს, მარა ვინ იყო გამგონი. რაკი შევიკრიბეთ, ბარებ გადავწყვიტოთ, ან მივცეთ დახმარება და ან ნუ მიგსცემთო. დამარტდა ბესო და შეიქმნა სჯა — მოუმარტოთ თუ არა და თუ მოუმარტოთ რამდენიმ. ბესოს არაუმენტაცია ასეთი იყო — თქვენ ამბობთ, ცხოვრება გაძირდა და მოსამსახურებს დავეცმაროთ. რა უყოთ რომ გაძვირდა, ჩენ ხომ არ გაგვიძირებია, და თუ გაძვირდა ჩენთვისც ხომ გაძირდა. უჭირთ მოსამსახურებს ცხოვრება, რა უყოთ, რომ უჭირთ. მაკლაოვი ორას ათასს იღებს თითო გამოსლოზე და მე ხუთ მანებზე მეტს არავინ წამომიღებს მარა მაინც კმაყიფოლი ვარ ბედით. ყველას გახსოვს მე რომ სამტრედიაში ქუჩა-ქუჩა ბულკებს ვატარებდი გასაყიდათ, რომ დამჭირდეს, თოხსაც კარგათ მოვკიდებ ხელს. კაცი ასეთი უნდა იყო, ყოველ გაჭირებას უნდა გაუქმო.

ეს რეზი ბესომ რამდენჯერმე გაიმეორა და შედეგი ისეთი მიღილ, რომ თავს არ უჯერილა: კრების ნახევარი მას მიემხრო. ვინ ბესო და ვინ ასეთი გამარჯვება. მარა დახეთ უბედურობას! თურმე მარტი იქ უდარაჯებდა ბესოს. უყირეს საკითხს კა-

ნეკი და დამარცხდა ბესო მისი შავი ყორნებით. ბესომ ბალტო გაიხადა და მოითხოვა, ხელმეორეეთ უყარეთ კენჭით. კენჭის ყრა ფრჩული იყო, ბესო კი მდივანი იყო კრებისა და ვინ გაბედვდა უჩჩიბას. დამარცხდა მეორეთ. უყარეთ მესამეთო. დამარცხდა მესამეთ და მაზინ კი დაკრება ბესომ ყოველივე იძელი და გაჯავრებული შეუერთდა მათ, ვინც ყველაზე მეტ მომატებას ითხოვდა. ბესოს დაუჯერეს მისმა ყორნებმც და კითხვა ერთხმათ გადაწყდა მოსამსახურეთა სასაჩუბლოთ. არ გასულა ამის შემდეგ ოცაოთხი საათი რომ ბესომ გააშანდა საჩივარი და შეიტანა ბანქში. არ გაბეღლოთ გუშინ-დელი ერთსულოვანი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მე მინისტერთან ვაპირებ ჩივილს და დაუცადეთ იმის პასუხსო. იწყება მქებარე საქმე. ბესო დასწრეს მინისტრთან საჩივარს, მინისტრი წაიკითხავს ბესოს საჩივარს და უკველათ გმოგზავნის ბანქში ჩევიზორს. რევიზორი პირველ ყოვლისა იკითხავს: ვინ იყო კრების თავმჯდომარე? ესა და ეს. ვინ იყო მისი მდივანი? თიაონნ ბესო. რითა უკანონო კრება? მისი გადაწყვეტილებით. ბესოს წინადაღება რო გასულიყო? მაშინ კანონიერი იქნებოდა. რევიზორი კატორლაში გაგზავნის საბჭოს და გმიგეობს, რომელთაც ტყუილ-უბრალოთ მოიწყის კრება, უა არ შეეკათხენ ბესოს, რომელიც თვით განგვით არის დანიშნული ბანკის კანონმდებლათ. ბანკის შემდეგი ბეღლიც ბესოს მიენდობა რომელიც დაუყორნებლივ მოახდენს ბანკის ლიკვიდაციას. იმას შემდეგ კი შეულება „მარიახის“ თანამშრომელთა გასამართლების, და როცა იმათაც კატორლაში გაგზავნის, მის სიმღვივიშვი მისიაც შესრულებული იქნება.

დარაჯი



## გევეგროვა

სწორედ რომ ბეღლი დაგვითის ქართველებს, აი მევიღეთ „თავარი და ცხოვრების“ მე-45 ნომერი, რომელშიაც პნი ათიმათელი (ანუ მარჩილი) მწარეთ დასტირის ჭოლა ლომთათიძის უდროვდ დაკრებებს, რომელიც დაბადა 1881 წ. მივიღეთ მე-46 ნომერი რომელშიაც ის მწარეთ

მოსთქვამს ჭოლა ლომთათიძის დაკარგებას, რომელიც დაიბადა 1879 წელს, აი კიდევ დღეს მივიღეთ სურათები ჭოლა ლომთათიძის, რომელიც დაიბადა 1878 წელს. სამივე ჭოლები არიმათიერების ცნობით გარდაცვალენ 4 ნოემბერს 1915 წ. სწორეთ რომ გასაცემალია, რადა სმიერ ჭოლა ერთ დღეს გარდაცვალენ, სამივე საატრინის თავ-შესაფარში, სამივეს ზედ-მეტი სახელი (ბიგენტი) ეთქვა, სამივეს მამას ბა-ან, სამივე დეპუტატი და პუბლიკუსტი იყვენ. არა აქ ჩვენ რაღაც ეჭვი გვებადება. უმორჩილესად გთხოვთ გვაცნობოთ რაშია საჭმე?

ამანაგობის მოწლობილობით

შ. ადამიძე.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა კ. თავართებისას მიერ შედეგნილი და კანტორია „განათლების“ მიერ გამოცემული 1916 წლის.

## კერძოს კალენდარი

კალენდარი დასურათხატებული იქნება მწერლების და საზოგადო მოღვაწეობის სურათებით, მოზრდილი ფორმატის.

დაკვთა ეხლავე შეიძლება შემდეგი აღრესით: თიფლის, პირველი იაშპი № 96. C. P. თავართილადze.

## ქართული სახალხო იაზ-ვასიანი წარმოდგენა.

ესრკებულის ცირკი-რეკორდები (ვერის დამზადებები)

თარისაბათს, 30 ნოემბერს ქართ. ფრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს დოდებული ტრალეებია ანტიური ცხოვრებიდან

## ო ი რ ი კ მ ს მ ე ვ ე

ნათარეგმ. ბ-ნი კ. ანდრონიძისა.

ვიქა წარმოდგენილი იქნება სახელმოვან რეესიონის რეინგარდტის იღებით

დამსტრეთ თაყურადებოთ: თეატრის ადმინისტრაცია სიხარულის წარმოდგენის დამსტრეთ დაწყების დასხელენ თავიანთ დაგილზე, რადგან წარმოკერნის დაწყების შემდეგ დარბაზშია არავას შეუშვებენ.

მონაზილოვანს მთხოვთ დასი.

წარმოდგენის დასაწყისი სილ. 9 სათ.

აღვილების ფასი 15 კ. 1 მ-დე.

შემდეგი წარმოდგენა თობშაბათს, 9 დეკემბერს.

რეესიონი ანდრონიკაშვილი.




გაუცხალისას იმის თქვენს ჯადობრივობას — მისი მიზანი

# კუპიტონი

მათი მიზანი  
კუპიტონი

ხილის გაუცხალის  
საქართველო



## ლალიძის ლიმონათები


ყველაზე დ უკეთესია.  
იგი რომ კაცია დალიოს  
გართლოც ჩიგი და წესია:  
ან კარა არის ბროლივი,  
წინდაწინ მოხარშულია,  
სურნელება აქვს ისეთი  
დაგიამდება გარლია.

არც თავს აგატკენს, არც მუცელს,  
რძესავით შესარგისია,  
ვინც იმას ხშირად მიირთმევს  
ტკბილი ქრიზიც მისია...

ლალიძის ლიმონათები  
ყველა სახმელებს სჯობია,  
სხვები-კი — შაქარ-წყალია  
და კიდევ დასაგმობია.



პიონერ ექმაკიც ველარას გაწუობს.



ეშმაკი. ხალხო, ადამიანებმა ვერ შესძლეს თქვენი მორიგება, იქნებ მე მაინც გავახერხო რამე.



გამოვიდა ბ. ეშმაკის მიერ შეღენილი და კანტო-  
რა „განათლების“ გამოცემა

## გალკანების ჩარტა

ფასი ერთი აბაზი. პროვინციას აგნტებს დაეომობა  
15 კაბ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრსით: ტი-  
ფლის, Ольгинская 6. С. Тавартикаладзе.